ცვლილებები ძალაშია 30/05/2017–დან

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ საბანკო მომსახურების პირობებში

შევიდა შემდეგი ცვლილებები:

1. **საბანკო მომსახურების პირობების მე-20 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 11.1 და 11.2 პუნქტები:**

11.1. მომხმარებლის სახელი და პაროლი კლიენტს ეგზავნება მის მიერ არჩეული მეთოდის შესაბამისად:

- ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში ინტერნეტ ბანკინგით მომსახურებაზე;
- ან მობილური ტელეფონის ნომერზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში ინტერნეტ ბანკინგით მომსახურებაზე;
- ან ორივე მეთოდით ერთდროულად: ელექტრონული ფოსტის მისამართზე და მობილური ტელეფონის ნომერზე, რომლებიც მითითებულია ხელშეკრულებაში ინტერნეტ ბანკინგით მომსახურებაზე.

11.2. კლიენტი უფლებამოსილია შეცვალოს პაროლის მიღების მის მიერ არჩეული/გააქტიურებული მეთოდი ზემოთ ჩამოთვლილი სხვა მეთოდით, რისთვისაც ის ვალდებულია მიმართოს ბანკს, ხოლო ბანკი კლიენტის იდენტიფიკაციის საფუძველზე უზრუნველყოფს შესაბამის ცვლილებას.

2. **შეიცვალა საბანკო მომსახურების პირობების მე-20 მუხლის მე-14 პუნქტი, ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:**

14.დამატებითი მომხმარებლის დამატება/წაშლას და უფლებების ადმინისტრირებას ინტერნეტ ბანკინგში კერძოდ, ანგარიშებზე ოპერაციების შესრულების უფლებების განსაზღვრას, მასზე **TAN**-ის საგენერაციო ელექტრონული მოწყობილობის/საშუალების გადაცემა/ჩამორთმევას, მომსახურების დაბლოკვა / განბლოკვას, პაროლის აღდგენას ახორციელებს ძირითადი მომხმარებელი. ამასთან, პაროლის აღდგენის შემთხვევაში, კლიენტს ახალი პაროლი ეგზავნება ინტერნეტ ბანკინგით მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებით მის მიერ არჩეული მეთოდის შესაბამისად.